გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიები:

საუკეთესო პრაქტიკა და არსებული გამოწვევები

სწრაფი მოკვლევა

თებერვალი
2024

შესავალი

ძირითადი შედეგები 3
- სწრაფი მოკვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები და გამოწვევები 5
- გამოწვევები 6
- განსხვავებული პოზიცია უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ 7
- რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს 8

სწრაფი მოკვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 9

შესავალი 10

ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო და სტანდარტები 14

კარგი პრაქტიკის მაგალითები 17
- ესპანეთი 17
- კანადა 18
- აშშ 18
- გაერთიანებული სამეფო 19

თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები 20
- უწყებათაშორისი კომისიების შექმნა (წინაპირობები) და კვლევის მონაწილეების მიერ მათი პირველადი შეფასება 20
- უწყებათაშორისი კომისიების მუშაობის პროცესი 24
- პოზიცია უწყებათაშორისი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ 25
- გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის ურთიერთქმედების საკითხი: 28
- უწყებათაშორისი კომისიის გაძლიერების მნიშვნელობა 30
- კომისიის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობა 32

დასკვნა 34

რეკომენდაციები 34

ბიბლიოგრაფია 36

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის
Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის) ფინანსური მხარდაჭერით

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ძირითადი შედეგები

ქალთა ფონდი „სოხუმი“, საერთაშორისო ორგანიზაცია BROT für die Welt-ის მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, **2009 წლიდან** აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ რეფერირების სუბიექტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით.

თავდაპირველად შეხვედრები სისტემატურად დასავლეთ საქართველოს **6** სამიზნე მუნიციპალიტეტში ტარდებოდა: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, სენაკი, ფოთი და ზუგდიდი, **2017 წლიდან** მუნიციპალიტეტების დაფარვის არეალი გაფართოვდა და მოიცვა: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, ზუგდიდი, ფოთი, წალენჯიხა, სენაკი, ლანჩხუთი, ოზურგეთი. **2021 წლიდან** კი დაემატა შემდეგი მუნიციპალიტეტები: თერჯოლა, ვანი, ბაღდათი, ქობულეთი და ჩოხატაური.

ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის მნიშვნელოვანი როლი ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი და დროული რეაგირების თვალსაზრისით, რამაც მუნიციპალურ დონეზე უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის საკითხი ქალთა ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის დღის წესრიგში მნიშვნელოვან ამოცანათა შორის მოაქცია. **2021-23 წლებში,** ორგანიზაციის რეკომენდაციითა და უშუალო მხარდაჭერით, უწყებათაშორისი კომისიები დაინერგა სენაკის, ჩოხატაურის, ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში და მიმდინარეობს მათი ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა. **2024 წლიდან** ფონდი „სოხუმისა“ და აღნიშნული მუნიციპალიტეტების ფინანსური თანამონაწილეობით იგეგმება უწყებათაშორისი კომისიების მიერ შეთავაზებული იდეების რეალიზება, რაც მოემსახურება ცალკეულ მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობას და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვასა და დახმარებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უწყებათაშორისი კომისიების მდგრადობის, სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება და რეფერირების სუბიექტების კომპეტენციის გაძლიერება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 22 იანვარს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები“** (ეროვნული რეფერირების პროცედურები), რომლის ძირითადი

მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას.[1] აღნიშნული რეფერირების პროცედურებით, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს რეფერირების მექანიზმის სუბიექტს, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებასა და მასზე შესაბამის რეაგირებაზე[2], ასევე, შესაბამის სტრუქტურებს შორის სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაციისა და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფაზე.[3]

ქალთა ფონდი „სოხუმის" მიერ დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში[4] განხორციელდა სწრაფი მოკვლევა, რომლის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის და კოორდინაციის გასაძლიერებლად უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა და დღეს არსებული კომისიების ინსტიტუციური შესაძლებლობების, მათი მიღწევების და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შეფასება.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული და გააზრებულია უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობა გენდერული/ოჯახში ძალადობის პრევენციის, ასევე, ქმედითი და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად. მოკვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა უწყებათაშორისი კოორდინაციის არაერთი საინტერესო და წარმატებული პრაქტიკა, მათ შორის: ესპანეთში, კანადაში, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, რაც შესაძლოა განხილულ იქნეს რეპლიკაციის ერთგვარ მოდელად[5]

---

1 საქართველოს მთავრობის დადგენილება №14, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ, 22.01.24, მუხ.: 1 (1), ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?publication=0

2 იგივე, მუხ.: 6 (13)

3 იგივე, მუხ.: 6 (15)

4 სამიზნე მუნიციპალიტეტები: ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩოხატაური, ქობულეთი, ხობი.

5 (მაგ: „ოჯახის დახმარების განყოფილება" (Family Assitance Unit) - ესპანეთი; CCR (Coordinated Community Response to high risk/high danger domestic/intimate partner violence - თემის კოორდინირებული რეაგირება მაღალი რისკის მქონე ოჯახში/პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე) - კანადა; FVCC – (Family Violence Coordinating Council - ოჯახში ძალადობის საკოორდინაციო საბჭო) და Domestic Violence Coordinator's Office - ოჯახში ძალადობის კოორდინატორის ოფისი - აშშ; MASH (Multy-Agency Safeguarding Hubs - უწყებათაშორისი დაცვის ცენტრები) - გაერთიანებული სამეფო).

სწრაფი მოკვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები და გამოწვევები

უწყებათაშორისი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა

- მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ რგოლში (მერიებში) „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია“ არის გამოკვეთილად **პრაქტიკული მნიშვნელობის** მექანიზმი, რომელსაც აქვს პოტენციალი, წარმოადგენდეს ძირითად მაკოორდინირებელ რგოლს, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დახმარების და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, ასევე მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებისთვის საჭირო ღონისძიებების/პროგრამების/პროექტების ინიცირების მიმართულებით:
- **მუნიციპალიტეტებში, სადაც უკვე არსებობს უწყებათაშორისი კომისიები, მეტად გამართულია ადგილობრივი რეფერირების პროცედურები, კომუნიკაცია და კოორდინაცია სოციალური პოლიტიკის მიმართულებით,** ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიან რეაგირებასა და მართვაში ჩართულ პასუხისმგებელ რგოლებს შორის. მეტად ეფექტიანია დაზარალებული მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარება და ძალადობის პრევენციის, ოჯახების გაძლიერებისთვის დასახული ღონისძიებები;
- ადგილობრივ საჯარო მოხელეებს, რიგი გამონაკლისების გარდა, **გააზრებული აქვთ კომისიის, როგორც გენდერულად სამართლიანი პოლიტიკის ხელშეწყობის მექანიზმის, მნიშვნელობა და გამოხატავენ** მზაობას მისი დანერგვისთვის;
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს (როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ასევე გენდერზე პასუხისმგებელ მოხელეებს) აქვთ უწყებათაშორისი კომისიის, როგორც **ადგილობრივი კოორდინაციის უზრუნველყოფის მექანიზმის** ინსტიტუციონალიზაციის **მოლოდინი,** რაც გულისხმობს **რომ მას სავალდებულო** ხასიათი და, შესაბამისად, მეტი ბერკეტი მიეცემა სოციალური ზეგავლენისა და პოზიტიური ცვლილებისთვის;
- თვითმმართველობის წარმომადგენლები ძალზე **საინტერესოდ მიიჩნევენ ისეთ პლატფორმებს, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ სხვა მუნიციპალიტეტების (მოცემულ შემთხვევაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის) გამოცდილებას** და გამოხატავენ სურვილს, ამ პროცესს მიეცეს პერმანენტული ხასიათი;
- **უფრო ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, უწყებათაშორისი კომისიები საჭიროებენ კვალიფიციური საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებას და კონსულტაციის და ტრენინგების უწყვეტ რეჟიმს,** საკანონმდებლო სიახლეების, ნორმატიული აქტების, თემატური კვლევების გაცნობის, საბიუჯეტო და ახალ სოციალურ ინიციატივებზე ერთობლივი მუშაობის მიზნით.

გამოწვევები

სწრაფმა მოკვლევამ გამოავლინა, რომ, მუნიციპალიტეტების მზაობის და პოლიტიკური ნების მიუხედავად, დანერგონ/გააძლიერონ უწყებათაშორისი კომისიის მექანიზმი, ჯერ კიდევ არ აქვთ აქტიური დღის წესრიგი:

- ✓ **კომისიის საქმიანობა ნაკლებად ფორმალიზებულია და უფრო არაფორმალური სტრუქტურის ხასიათს ატარებს (უწყებრივი კომუნიკაციები, ძირითადად, ინტერპერსონალური ხასიათისაა);**
- ✓ **კომისიებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი სტრატეგია და მხოლოდ ახლა იწყებენ მუშაობას სამოქმედო გეგმაზე;**
- ✓ **უწყებათაშორისი კომისიების უმეტესობამ ოპტიმალურად გადაჭრა კომისიის შემადგენლობის საკითხი.** რიგ კომისიებში პერიოდულად ხდება წევრების დამატება ან განახლება, თუმცა გამოწვევას წარმოადგენს **უწყებები, რომლებმაც რიგ მუნიციპალიტეტში თავი შეიკავეს უწყებათაშორის კომისიაში საკუთარი წარმომადგენლების ჩართვისგან** (მაგალითად, ზოგიერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრი, შსს-ს ადგილობრივი სტრუქტურა, ბაღების გაერთიანება);
- ✓ მუნიციპალიტეტების უმეტესობას ესმის უწყებათაშორისი კომისიის **ცნობადობის გაზრდის მნიშვნელობა** და ამისთვის აქტიურად იყენებს ვებგვერდს, მერიის ფეისბუქგვერდს, საჯარო შეხვედრებს, **მაგრამ კომისიის დებულებები, კომისიების სხდომის ოქმები, ძირითადად, მიუწვდომელია;**
- ✓ გამოიკვეთა უწყებათაშორისი კომისიების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის <u>**მნიშვნელოვანი გამოწვევა:**</u> **მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან უფლებამოსილებების გამიჯვნის საჭიროება და ამა თუ იმ საკითხის დუბლირების/გადაფარვის საფრთხე.**[6]

რესპონდენტები ფიქრობენ, რომ **კარგი და ეფექტიანი კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელია უფლებამოსილებების სწორი გამიჯვნა** და ერთი და იგივე ადამიანების გამოყენება კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად. თუმცა ნაწილი გენდერული საბჭოს „განტვირთვაზე" მიუთითებს, როდესაც აღმასრულებელი რგოლი შედარებით მცირე რაოდენობის სტრუქტურული ერთეულებით იქნება წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ნაწილისთვის **ბუნდოვანია უწყებათაშორისი კომისიის როლი და სამომავლო განვითარება პრაქტიკულ და შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში, რაც გამოცდილების და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის საკითხებში ცოდნა-უნარების ნაკლებობის მანიშნებელია.** მსგავსი გაურკვევლობა შეინიშნება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალიტე-

6 მიმდინარე ეტაპზე, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში, გარდა მერიის გენდერული მრჩევლისა (რაც დებულებით არის გათვალისწინებული), ხშირად გვხვდებიან ვიცემერები, სოციალური სამსახურის, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების, საფინანსო და იურიდიული სამსახურების (და მერიის სხვა სტრუქტურების) წარმომადგენლები.

ტები საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ უწყებათაშორისი კომისიის შექმნას (სადაც ჯერ არ ფუნქციონირებს), არამედ მაშინაც, როდესაც ხედავენ მის აქტიურ სოციალურ დანიშნულებას იქ, სადაც უკვე ფუნქციონირებს.

განსხვავებული პოზიცია უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში კომისიის შექმნის მიზანშეწონილების მომხრეების პარალელურად, **გამოიკვეთა საწინააღმდეგო პოზიციის მქონე საჯარო მოხელეების მოსაზრებებიც:**

ა) მერიაში უკვე არსებობს სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა კომისიებიც, რომლებიც ითავსებენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებასთან და დაზარალებულთა დახმარებაში ჩართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (ხობი, ქობულეთი);

ბ) თვითმმართველობა, როგორც რეფერირებაში ჩართული სუბიექტი, აქტიურად თანამშრომლობს ყველა სხვა მომიჯნავე უწყებასთან: პოლიციასთან, სოციალური დახმარების სააგენტოსთან, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სექტორებთან და დამატებითი ფორმალიზებული მექანიზმის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენს;

გ) არსებობს საფრთხე, რომ უწყებათაშორისი კომისია ხანგრძლივი დროით „დარჩება ქაღალდზე“, გენდერული თანასწორობის საბჭოების მსგავსად (მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში): **<u>სიტუაცია შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტებმა მიიღეს მკაფიო და პირდაპირი რეკომენდაციები ზემდგომი სტრუქტურებიდან - განხორციელდა შესაბამისი სწავლება და ცოდნა-უნარების გაღრმავება.</u>** შესაძლოა, კომისიების სავალდებულო ხასიათმა თავდაპირველად არ მოგვცეს ხელშესახები შედეგები, მაგრამ, **გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩამოყალიბების მსგავსად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდეს** რეფერირების მექანიზმის სუბიექტებს შორის კომუნიკაციის, თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობის გააზრება [7].

მერიაში უწყებათშორისი კომისიების შექმნის მიზანშეწონილობის საკითხზე საუბრისას, ყველაზე მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა აღმასრულებელ რგოლში გენდერული თანასწორობის მექანიზმის გაძლიერების აუცილებლობა. გენდერული მრჩევლის არსებული ინსტიტუტი არასაკმარისია (კადრების მაღალი კვალიფიკაციის შემთხვევაშიც), ვინაიდან აღნიშნული ფუნქცია საჯარო მოხელეებს ხშირად შეთავსებული აქვთ. მუნიციპალიტეტებში, სადაც ფუნქციონირებს გენდერის განყოფილება, სიტუაცია მნიშვნელოვნად არ იცვლება, როდესაც ფუნქცია ფორმალურია და „იკარგება“ განყოფილების სხვა მრავალ ფუნქციას შორის. მიუხედავად ამისა, არსებობს კარგი პრაქტიკის მაგალითები, მაგ., ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტებში.

---

7 გენდერული თანასწორობის საბჭოების მაგალითიდან გამომდინარე, შემდგომ ეტაპზე განხორციელდა საჭიროებათა გამოვლენა, ბიუჯეტში გენდერული პროგრამების ინტეგრირება, სხვადასხვა გენდერულ ჯგუფთან კომუნიკაცია მათი გააქტიურების, გაძლიერებისთვის. სოციალურ პარტნიორთა ქსელის გაფართოება და რეფერირების სუბიექტებთან კოორდინირებული ურთიერთქმედება.

რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს

- ***პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის*** - გენდერული თანასწორობის საბჭოს ძალისხმევის გაზრდა და საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის ადვოკატირება უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციისთვის; კოორდინაცია სახელმწიფო უწყებების და სამოქალაქო აქტორების მოზიდვისა და წახალისებისთვის.
- ***გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის*** - მუნიციპალიტეტებში უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, არსებული კომისიების გაძლიერება, საქართველოს მთავრობასთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასა და მუნციპალიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
- ***დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის*** - სოციალური მუშაკების, ჯანდაცვის პირველადი რგოლების წარმომადგენლების კომისიის საქმიანობაში ჩართვის წახალისება, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარების პრიორიტეტული სოციალური საჭიროებების გადაჭრის საკითხებში უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაძლიერებას.
- ***მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთვის*** - ადგილობრივი რეფერირების პროცესებში საგანმანათლებლო სექტორის სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალურ კომისიაში საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელების ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირების ჩართვა.
- ***ადგილობრივი ხელისუფლებისთვის*** - ღონისძიებების დაგეგმვა კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის; სოციალურ პარტნიორთა ქსელის შექმნა და გამოცდილების გაზიარების ინტერმუნიციპალური პლატფორმების გააქტიურება; კომისიის სამოქმედო გეგმების დროული შემუშავება და პერიოდული ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა; კომისიის საქმიანობის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენება ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებებისთვის.
- **ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის** - მუნიციპალიტეტების პოტენციალის გაძლიერება, კვალიფიკაციის ამაღლების, ინფორმაციის გაცვლის პლატფორმების ორგანიზება კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის; კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მერიებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის ადვოკატირება.

სწრაფი მოკვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

სწრაფი მოკვლევის მიზნია **ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის და კოორდინაციის გასაძლიერებლად უწყებათაშორისი კომისიების შექმნის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა და დღეს არსებული კომისიების ინსტიტუციური შესაძლებლობების, მათი მიღწევების და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შეფასება.**

მოკვლევის პროცესში გამოყენებული იყო **თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ,** სიღრმისეული ინტერვიუ.

სამიზნე მუნიციპალიტეტები: 10 (ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩოხატაური, ქობულეთი, ხობი).

სამიზნე ჯგუფები: ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლი (მუნიციპალიტეტის უწყებათაშორისი კომისიების წარმომადგენლები; მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები; მერიის სოციალური სამსახურის, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების წარმომადგენლები; მერის მრჩევლები გენდერული თანასწორობის საკითხებში/გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები); ასევე რეფერირების სხვა ადგილობრივი რგოლები: სოციალური სააგენტოს, განათლების რესურსცენტრების წარმომადგენლები, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების საერთო რაოდენობა: 27 (21 ქალი, 6 კაცი)

ჩაღრმავებული ინტერვიუების რაოდენობა: 27

საველე სამუშაოები: 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერი

შესავალი

ქალთა ფონდი „სოხუმი“, საერთაშორისო ორგანიზაცია BROT für die Welt-ის მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, **2009 წლიდან** აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ რეფერირების სუბიექტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით.

თავდაპირველად რეფერირების სისტემის სახელმწიფო უწყებებს შორის სისტემატური შეხვედრები დასავლეთ საქართველოს 6 სამიზნე მუნიციპალიტეტში ტარდებოდა: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, სენაკი, ფოთი და ზუგდიდი, **2017 წლიდან** მუნიციპალიტეტების დაფარვის არეალი გაფართოვდა და მოიცვა: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, ზუგდიდი, ფოთი, წალენჯიხა, სენაკი, ლანჩხუთი, ოზურგეთი. **2021 წლიდან** კი შეხვედრები აქტიურად ტარდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, თერჯოლა, ვანი, ბაღდათი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი და ჩოხატაური.

ფონდი „სოხუმის“ მიერ სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის პლატფორმა აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის (გენდერული საბჭო, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, ბავშვთა განყოფილების, ბაგა-ბაღების ა(ა)იპის წარმომადგენლებს, მერის წარმომადგენლებს სოფლებში), სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამართალდამცავი უწყების, იურიდიული დახმარების ბიუროს, სასამართლოს, პროკურატურის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლების წარმომადგენლებს, ადგილობრივი პოლიკლინიკების, ამბულატორიების სამედიცინო პერსონალსა და ადმინისტრაციას და ქალთა უფლებებზე მომუშავე ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

შეხვედრებზე ადგილობრივი რეფერირების სუბიექტები ეცნობიან სამართალდამცავი უწყებების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკას, ცვლიან ინფორმაციას ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის არსებულ პროგრამებზე და მსჯელობენ პრობლემებისა და გამოწვევების გადაწყვეტაზე. შეხვედრებზე ძალადობის შემთხვევის განხილვისას, ადგილობრივი რეფერირების სუბიექტების მიერ, ერთობლივად, პრობლემის გადაჭრის არაერთი გზა დაიგეგმა. მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ქეისის დროს, შეხვედრაში მონაწილე სუბიექტებმა [ქუთაისის თავშესაფრის, „ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების“, სოციალური სამსახურის, სოფელში მერის წარმომადგენელმა და სკოლის ადმინისტრაციამ] ერთობლივად დაგეგმეს პრობლემაზე რეაგირების გზები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს დაეხმარნენ. ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტში შედგა ძალზე საჭირო და დროული კოოპერაცია უწყებათაშორისი კომისიის წევრ ადგილობრივ

აქტორებს შორის, რომლის შედეგად გადაიჭრა ბენეფიციარებისთვის აუცილებელი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების საკითხი და განხორციელდა სოციალური კონფლიქტის პრევენცია.

ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკამ გამოკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის მნიშვნელოვანი როლი ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი და დროული რეაგირების თვალსაზრისით, რამაც მუნიციპალურ დონეზე უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის საკითხი ქალთა ფონდი „სოხუმის" საქმიანობის დღის წესრიგში, მნიშვნელოვან ამოცანათა შორის მოაქცია. **2021-23 წლებში,** ორგანიზაციის რეკომენდაციითა და უშუალო მხარდაჭერით, უწყებათაშორისი კომისიები დაინერგა სენაკის, ჩოხატაურის, ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში და მიმდინარეობს მათი ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა. **2024 წლიდან,** ფონდი „სოხუმის" და აღნიშნული მუნიციპალიტეტების ფინანსური თანამონაწილეობით, იგეგმება უწყებათაშორისი კომისიების მიერ შეთავაზებული იდეების რეალიზება, რაც მოემსახურება ცალკეულ მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობას და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვასა და დახმარებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უწყებათაშორისი კომისიების მდგრადობის, სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება.

2022 წლის 22 ნოემბერს „GREVIO"-მ (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი) საქართველოს ხელისუფლების მიერ სტამბოლის კონვენციის შესრულების შესახებ საბაზისო შეფასების ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც მოუწოდა სახელმწიფო ხელისუფლებას, კერძოდ კი **გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას,** განაგრძოს ეროვნულ და რეგიონულ/ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და გაძლიერება ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე ორიენტირებული ინტერსექტორული თანამშრომლობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელების მიზნით.[8]

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად აუმ-

8 ევროპის საბჭოს GREVIO-ს ანგარიში საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის შესრულებაზე (22.11.22), გვ. 17, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

ჯობესებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების, ასევე მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირებას, უზრუნველყოფს ადგილობრივი რეფერირების სუბიექტების კოორდინაციის უფრო მაღალ ხარისხს, ხელს უწყობს დროულ რეაგირებას.

2020 წლიდან მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს „ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებები". მიუხედავად იმისა, რომ თავად განყოფილებები უშუალოდ არ არიან ჩართული რეფერირებაში, მათი მხრიდან მოწყვლად ოჯახებთან სოციალურ მუშაობაში წამყვანი როლი და ადგილობრივი კოორდინაციის ხელშეწყობის ხარისხი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებასა და მართვაში საკმაოდ მაღალია.[9]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 ივლისიდან გაზრდილია **მუნიციპალური ორგანოების როლი** პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად.

2024 წლის 22 იანვარს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები" (ეროვნული რეფერირების პროცედურები)**, რომლის ძირითადი მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას.[10] აღნიშნული რეფერირების პროცედურებით, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს რეფერირების მექანიზმის სუბიექტს, რომელიც პასუხისმგებელია როგორც ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებასა და მასზე შესაბამის რეაგირებაზე[11], ასევე, შესაბამის სტრუქტურებს შორის სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაციისა და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფაზე.

დღესდღეობით მუნიციპალიტეტებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების-

---

9 ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების საქმიანობის თაობაზე უფრო დაწვრილებით ფონდი „სოხუმის" კვლევაში „ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ეფექტიანობის შეფასება და არსებული გამოწვევები". ხელმისაწვდომია - https://fsokhumi.ge/images/2022/2/bavshta%20ganyofilebebi.pdf

10 საქართველოს მთავრობის დადგენილება №14, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ, 22.01.24, მუხ.: 1 (1), ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?publication=0

11 იგივე, მუხ.: 6 (13)

თვის შემდეგი ინსტრუმენტები გააჩნია: **მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოში; გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი მერიაში/საკრებულოში; გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური ბიუჯეტი; გენდერული თანასწორობის სტრატეგია; გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა განხორციელების სამოქმედო გეგმა; ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებები; ქალთა ოთახები; მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.**

მოცემული მექანიზმების ჩამონათვალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **მუნიციპალიტეტების ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორის კომისიას,** რომელიც იქმნება მუნიციპალიტეტებში მერის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.[12]

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების **უწყებათაშორისი კომისია შექმნილია ზუგდიდის, სენაკის, ჩოხატაურის, ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტებში.**

12 ქალთა ფონდი „სოხუმის“ კვლევა, მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება. ხელმისაწვდომია - https://fsokhumi.ge/images/2023/7/1/Prevention%20-%20municipalities%20July%202023.pdf

ქალთა დისკრიმინაციისგან დაცვა და მათთვის მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა **გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით**. ამასთან, სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად[13].

2017 წელს, როცა საქართველომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდასაჭერად გაცილებით ქმედითი - **კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა** აწარმოოს. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, ისეთი აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მიღებას პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური მხარისა თუ უწყების მიერ, რაც ერთიანობაში უზრუნველყოფს **ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე ჰოლისტიკურ რეაგირებას** (მუხლი 7 (1)), ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული პოლიტიკისა და ზომების ეფექტიანი განხორციელებისთვის **უწყებათაშორის თანამშრომლობას**[14]. სტამბოლის კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, დააფუძნონ ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი **ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ,** მათ შორის**, მუნიციპალურ დონეზე**[15].

ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა 25-მდე საკანონდებლო აქტში. მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, განახორციელოს ღონისძიებები **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით**[16].

---

13 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.: 11.1; 11.3; ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

14 კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო; გვ. 40 ხელმისაწვდომია - Https://Rm.Coe.Int/Geo-Istanbul-Convention-And-Explanatory-Report-A4/16808d24c5

15 ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია), მუხ.: 10(1), ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

16 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ.: 16.4; ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=69

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვისა და ჯეროვანი გატარების მიზნით, საკრებულოში შეიქმნა **მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო**[17], ხოლო მერიაში დაინიშნა **გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**[18].

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთი სახელმწიფო სტრუქტურაა ჩართული. ამ ბრძოლის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა უწყების მიერ დაკისრებული როლის გააზრებასა და ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე. **სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად**, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში, შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე **უწყებათაშორისი კომისია**[19], რომლის უმთავრესი ამოცანაა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ მიმართული პოლიტიკისა და განხორციელებული ზომების კოორდინაცია, განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება. უწყებათაშორის კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერმინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში[20].

2024 წლის 22 იანვარს დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის **ეროვნული რეფერირების პროცედურები**“ (ეროვნული რეფერირების პროცედურები), რომლის ძირითადი მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასა და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას[21]. ეროვნული რეფერირების პროცედურები განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის **მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად** სახელმწიფო ორგა-

17 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 13(1[1]) ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10

18 იქვე, მუხ. 13(1[2])

19 იქვე, მუხ. 12(6)

20 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილება „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 1; ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=4

21 საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 1(1); ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?fbclid=IwAR3c98OHBioZhA7wZHMyMjdIU38if3DsmLLbymVJPJ0Pbq2ctE-2ae3YcMc&publication=0

ნოების უფლება-მოვალეობებსა და **კოორდინაციის წესს**[22], რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტებს, როგორც რეფერირების პროცედურების მონაწილე სუბიექტს, დაევალა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის **იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირების განხორციელება და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაციისა და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა.**[23]

აღნიშნული ვალდებულების ეფექტიანად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე **მუნიციპალური** ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების **უწყებათაშორისი კომისიების დანერგვა და აღნიშნული საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება.**

აღსანიშნავია, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან **უწყებათაშორისი კომისია** პირველად 2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეიქმნა. რესპონდენტთა ცნობით, ინიციატივის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ იყო, რომელმაც 2021 წელს, პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით, მოამზადა კანონპროექტი, რაც ითვალისწინებს საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ცვლილების შეტანას. კერძოდ, მე-12 და მე-13 მუხლებში ცვლილების განხორციელებას, რაც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მუნიციპალურ დონეზე, გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე, სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

სამწუხაროდ, აღნიშნული ინიციატივა დღემდე განხილვის პროცესშია და არ მიუღია საკანონმდებლო ორგანოს[24].

2021-22 წლებში ქალთა ფონდი „სოხუმის“ რეკომენდაციით და მისი უშუალო საორგანიზაციო მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტების მერიის ბაზაზე უწყებათაშორისი კომისიები შეიქმნა და ამოქმედდა სენაკის, ჩოხატაურის, ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში, თუმცა მათი ეფექტიანი და სისტემატური მუშაობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათი როგორც ინსტიტუციური გაძლიერება, ასევე მასში შემავალი რეფერირების სუბიექტების კომპეტენციის გაზრდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებში.

---

22 იქვე, მუხ. 1(2)

23 იქვე, მუხ. 6(13); მუხ. 6 (15)

24 პირისპირ ინტერვიუ „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორთან - თეონა ჩიქოვანთან

კარგი პრაქტიკის მაგალითები

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გამოვლინდა უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის კარგი პრაქტიკის მაგალითები სხვადასხვა ქვეყანაში. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მათგანი:

ესპანეთი

ესპანეთში არსებობს „ოჯახის დახმარების განყოფილება“ **(Family Assitance Unit)**[25]**,** რომელიც, მართალია, პოლიციის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს, თუმცა დოკუმენტში მისი, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითის წარმოდგენით აქცენტი კეთდება აღნიშნულ განყოფილებაზე, როგორც ერთგვარ ჩარჩო/მოდელზე, სადაც მნიშვნელოვანია სწორედ სხვადასხვა რელევანტური უწყების კომპლექსური და კოორდინირებული ძალისხმევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. „ოჯახის დახმარების განყოფილება“ მოიცავს პრევენციას, განათლებას, სოციალურ დახმარებას, ჯანდაცვას, სხვადასხვა სახის დახმარების კოორდინირებას და უზრუნველყოფას ძალადობის მსხვერპლებისთვის და ა.შ. აღნიშნული განყოფილებები მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს და განსაკუთრებით ფოკუსირებულია მოწყვლად ჯგუფებზე. ძალადობის ფაქტების გამოძიების გარდა (რაც ცხადია, პოლიციის ფუნქციაა)[26], „ოჯახის დახმარების განყოფილება“ ახორციელებს სხვა უწყებებთან ერთად კოორდინირებულ ღონისძიებებს ძალადობის შემთხვევებზე კომპლექსური რეაგირების, ასევე კონსულტაციების გამართვის, შემდგომი მონიტორინგის და მსხვერპლთა დაცვის მიზნით. ქვემოთ მოცემულია კოორდინირებული რეაგირების სქემა[27]:



25 The Family Assistance unit as an Expert Team on Providing Assistance to The Victims of Domestic Violence - ხელმისაწვდომია - https://www.eucpn.org/document/the-family-assistance-unit-as-an-expert-team-on-providing-assistance-to-the-victims-of

26 European Crime Prevention Award (ECPA) - გვ.2, ხელმისაწვდომია -https://eucpn.org/sites/default/files/document/files/GP–ECPA–2013–ES–TheFamilyAssistanceUnit-1.pdf

27 General Depatment of the Criminal Police Family Assitance Central Unit - ხელმისაწვდომია -https://eucpn.org/sites/default/files/document/files/GP–ECPA–2013–ES–TheFamilyAssistanceUnit-2.pdf

კანადა

CCR (Coordinated Community Response to high risk/high danger domestic/intimate partner violence - **თემის კოორდინირებული რეაგირება მაღალი რისკის მქონე ოჯახში/პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე**) - წარმოადგენს ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ უწყებებს შორის პარტნიორობის მოდელს, რომელიც გულისხმობს მაღალი რისკის შემცველ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას და შეფასებას[28]. **CCR**-ს თავდაპირველად შეიქმნა მოძალადეზე რეგირების საპასუხოდ და წარმოადგენს მსხვერპლზე მორგებულ მიდგომას. აღნიშნული ჯგუფის (**CCR**) საკვანძო ფუნქციას წარმოადგენს ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ასევე მსხვერპლთან და სერვისების მიმწოდებლებთან ერთობლივი მუშაობა. ჯგუფს (**CCR**) არ აქვს გაწერილი სტანდარტიზებული დოკუმენტი, თუმცა მისი მიდგომები გულისხმობს ისეთი უწყებების ჩართულობას, როგორებიცაა, მაგ.: პოლიცია, სამართლებრივი სისტემა ზოგადად, სოციალური მომსახურება, განათლება, ჯანდაცვა, ბავშვთა უფლებების დაცვა და ა.შ. კოორდინირებული რეაგირების შედეგად იქმნება სერვისის მიმწოდებლებისგან ფორმირებული **ადგილობრივი საბჭოები** (სადაც მაგ., გაერთიანებულია: პოლიცია, ადვოკატები, სამედიცინო პერსონალი). აღნიშნული საბჭოები ქმნიან საკომუნიკაციო **ქსელს** სერვისების მიმწოდებლებთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ძალადობის შემთხვევებზე კომპლექსურ და კოორდინირებულ რეაგირებას. ამგვარად, **ადგილობრივი საბჭოების** ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ბენეფიციარებითვის სხვადასხვა სახის სერვისის მიწოდება, მათ შორის, იმ სერვისების, რომელთა შესახებ ბენეფიციარები ხშირად ინფორმაციას არ ფლობენ[29].

აშშ

აშშ-ის სხვადასხვა შტატში ფუნქციონირებს მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომლებიც ასევე შეგვიძლია განვიხილოთ კარგი პრაქტიკის მაგალითად მისი სტრუქტურის/ჩარჩოს თვალსაზრისით: არსებობს **FVCC – (Family Violence Coordinating Council** - ოჯახში ძალადობის საკოორდინაციო საბჭო) და **Domestic Violence Coordinator's Office** - ოჯახში ძალადობის კოორდინატორის ოფისი. ოჯახში ძალადობის საკოორდინაციო საბჭოს (FVCC) ფუნქცია მოიაზრებს როგორც ნაციონალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე გარკვეული პლატფორმის შექმნას, ძალადობის შემთხვევებზე ინსტიტუციური, პროფესიული და სათემო რეაგირების გაუმჯობესების მიზნით[30]. რეაგირების საკითხები მოიცავს: ქალთა მიმართ ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობას, განათლებას და პრევენციას, მსხვერპლებისა და მოძალადეებისთვის განკუთვნილი სერვისების კოორდინაციას და ინტერვენციას და ა.შ.

ოჯახში ძალადობის კოორდინატორის ოფისი (Domestic Violence Coordinator's Office)

---

28 Co-ordinated Community Response (CCR) to High Risk/High Danger Domestic/Intimate Partner Violence. - ხელმისაწვდომია - https://www.publicsafety.gc.ca/cnt/cntrng-crm/crm-prvntn/nvntr/dtls-en.aspx?i=10195

29Coordinated Community Response Components for Victims of Intimate Partner Violence: A Review of the Literature - ხელმისაწვდომია - https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4113829/

30 Family Violence Coordinating Council - ხელიმისაწვდომია - https://www.dupagecourts.gov/18th–judicial–circuit–court/services/family–violence–coordinating–council.php

ფუნქციონირებს როგორც ოჯახში ძალადობის შემცირების და აღმოფხვრის საზოგადოებრივი რესურსი[31]. იგი დაფინანსებას იღებს ოლქისგან და ასევე ცენტრალური ქალაქისგან და საზოგადოებრივ ჯგუფებს აწვდის ინფორმაციას, უწევს ტექნიკურ დახმარებას. თავად კოორდინატორი ოჯახში ძალადობის საკოორდინაციო საბჭოს (FVCC-ის) ოფიციალური წარმომადგენელია და გვევლინება როგორც ოჯახში ძალადობის საკითხებზე ადგილობრივი კოორდინატორი[32],[33].

გაერთიანებული სამეფო

წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეული მიემართება ბავშვის უფლებების დაცვას, თუმცა ფორმის/ჩარჩოს თვალსაზრისით კარგად ასახავს უწყებათაშორისი კოორდინაციის არსს, რომელიც ერთ კონკრეტულ ერთეულში/განყოფილებაშია გამოხატული (ფორმირებული). **MASH (Multy-Agency Safeguarding Hubs** - უწყებათაშორისი დაცვის ცენტრები - წარმოადგენს პრაქტიკოსების ჯგუფს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა უწყებაში (ადგილობრივი ხელისუფლება, პოლიცია, ჯანდაცვა და ა.შ.), მაგრამ განთავსებულნი არიან ერთ ოფისში. ისინი ფლობენ ინფორმაციის გაცვლის მკაფიოდ გაწერილ გაიდლაინებს/სქემებს, რაც უზრუნველყოფს ნდობის მაღალ ხარისხს და რელევანტური უწყებების მაქსიმალურ ჩართულობას. სხვადასხვა სპეციალისტის/უწყების წარმომადგენლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გაერთიანებით, **MASH-ის** სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ, რეაგირების სტრატეგიის შემუშავებამდე ოჯახში/ბავშვზე ძალადობის სრული სურათი მიიღონ. ინფორმაციის პირველად წყაროს წარმოადგენს სოციალური მუშაკი, რომელიც ბავშვისთვის რისკის არსებობის საწყის ეტაპზე იღებს რეფერირების გადაწყვეტილებას და ანიჭებს წითელ, ყვითელ და მწვანე ფერებს. აღნიშნული მიდგომა განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების ვადას, რაც ვარირებს რამდენიმე საათიდან (გადაუდებელ შემთხვევაში - 4 საათი) რამდენიმე დღის ფარგლებში. ინფორმაცია უსაფრთხოების წესების დაცვითაა გაზიარებული ცენტრში (**MASH**), ხოლო შეგროვება ხდება ისეთი პრაქტიკოსების საშუალებით, როგორებიცაა. მაგ.: მასწავლებლები, ზოგადი პროფილის ექიმები, პოლიციელები, შინმოვლის სპეციალისტები, სკოლის ჯანდაცვის პერსონალი, რომლებსაც უკავშირდებიან **MASH**-დან. ინფორმაციის შეგროვების შემდგომ სოციალური მუშაობის მენეჯერი იღებს შემდგომი ქმედებების განხორციელების გადაწყვეტილებას. მოწყვლადი ოჯახის დროული იდენტიფიცირება ხდება განმეორებადი ინფორმაციების ანალიზის შედეგად. ეს კი საშუალებას აძლევს შესაბამის უწყებებს, მაქსიმალურად აიცილონ თავიდან ძალადობის ფაქტით გამოწვეული ზიანი.[34],[35].

31 About the County Domestic Violence Coordination Office - https://multco.preservica.com/Render/render/waybackproxy/20130913231708/http:/multco.us/dv/about-county-domestic-violence-coordination-office

32 ABOUT THE IFVCC - ხელმისაწვდომია - https://icjia.illinois.gov/ifvcc/about/

33 Family Violence Coordinating Council (FVCC) - ხელმისაწვდომია - https://www.roe26.net/fvcc

34 Multy-Agency Safeguarding Hubs - გვ. 1-3 ხელმისაწვდომია - Multy-Agency Safeguarding Hubs. A London Council Member briefing. October 2012.

35 Multy-Agency Safeguarding Hubs (MASH) - ხელმისაწვდომია - https://www.nottinghamshire.gov.uk/care/childrens-social-care/nottinghamshire-children-and-families-alliance/pathway-to-provision/multi-agency-safeguarding-hub-mash

თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

სწრაფი მოკვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით, 10 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან, **უწყებათაშორისი კომისია შექმნილია 4 მუნიციპალიტეტში, კომისიებს გაწერილი აქვთ დებულებები,** რომელთა ფარგლებშიც განსაზღვრულია მათი უფლებამოსილებები და ფუნქციები.

- **უწყებათაშორისი კომისიების შექმნა (წინაპირობები) და კვლევის მონაწილეების მიერ მათი პირველადი შეფასება**

რესპონდენტთა ინფორმაციით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია **ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით** საქართველოში პირველად 2019 წელს, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** შეიქმნა. *„ოფიციალურად შექმნამდე, ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით მივიღეთ მონაწილეობა მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელიც ითვალისწინებდა ძალადობის თემაზე მომუშავე უწყებების კოორდინირებულ მუშაობას და ამ გამოცდილებამ დაგვანახა კომიისიის შექმნის საჭიროება,“* - **თ. ჩიქავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უწყებათაშორისი კომისიის წევრი.**

კომისიის არსებობამ ხელი შეუწყო უწყებებს შორის ინფორმაციის მყისიერ გაცვლას, ერთობლივი ჩართულობით და რეაგირების საშუალებით მოქალაქეთა მხარდაჭერისთვის.

ი. ხვიჩია, ზუგდიდის ინსპექტორ-გამომძიებელი მიიჩნევს, **რომ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ურთიერთგაცვლაა, რაც პრობლემას წარმოადგენდა აღნიშნული კომისიის შექმნამდე**. რესპონდენტის აზრით, კომისია არის **ადგილობრივი კოორდინაციის საუკეთესო მაგალითი:** ***„ეს მუშაობა ძალიან პროდუქტიულია და აუცილებელიცაა, ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში უნდა არსებობდეს მსგავსი კომისია“.***

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა ფოკუსირებულია როგორც პრევენციის მიმართულებით სხვადასხვა კამპანიის და შეხვედრის ჩატარებაზე, ასევე აღნიშნული კომისიის წევრების ჩართულობით ხდება პროგრამების ეფექტიანობის შეფასება და სხვა ალტერნატიული პროგრამების დანერგვის საჭიროებების შესწავლა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის **უწყებებს შორის თანამშრომლობის შედეგად გაზრდილია ქეისების რეფერირება** პოლიციის, ზრუნვის სააგენტოს, ადგილობრივი

არასამთავრობო ორგანიზაციების მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებსა და პროგრამებში.

სენაკში უწყებათაშორისი კომისია მე-2 წელია არსებობს. მისი მიზანი, კომისიის წევრების აღნიშვნით, იყო კოორდინაციის გაუმჯობესება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართულებით: *„კომისიის შექმნის მიზანი იყო, დაგვესახა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მუნიციპალიტეტში ყველა იმ უწყების კოორდინირებულ მუშაობას, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ქალთა ფონდი „სოხუმის“ დახმარებით მოხდა კომისიის შემადგენლობის განახლება 2021 წელს და მისი შემდგომი გააქტიურებაც,“* **- ნ. ხუბუა (სენაკის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი)**.

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, დარეჯან ზარანდიას ინტერვენციების დაგეგმვასა და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციაში ძალზე უწყობს ხელს უწყებათაშორისი კომისიის წევრობა: *„ამ კომისიამ საგანმანათლებლო სფერო დაგვაკავშირა მერიის სოციალურ და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებასთან, ამან მოგვცა ოფიციალური თანამშრომლობის საშუალება“.*

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები არ მალავენ, რომ კომისიის შექმნის დღიდან არაერთხელ გადაიხედა შემადგენლობა და დაემატა უწყებები. *„მაგალითისთვის, შექმნის დროს არ იყო ბავშვთა განყოფილება ჩართული, თუმცა დღეს ამ განყოფილების კოორდინატორი კომისიის წევრია. კიდევ ვფიქრობთ სხვადასხვა უწყების ჩართვას (ბაღების გაერთიანება, მერის წარმომადგენლების კოორდინატორი), რათა მერის წარმომადგენლების მიმართულებით გაუმჯობესდეს კოორდინაცია და ასევე იგეგმება სამედიცინო სფეროს ჩართვაც,“ - ნ. ხუბუა (სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი).*

„ჩვენი კომისია ცოცხალი ორგანიზმია და, შესაბამისად, თუ საჭიროება გვაქვს, ვცდილობთ მისი საპასუხო ზომებიც მივიღოთ, მათ შორის მოვიწვიოთ სხვადასხვა სპეციალისტი, ან გავაწევრიანოთ ჩვენს კომისიაში ისეთი ორგანიზაციები ან უწყებები, რომლებსაც შეუძლიათ ამ კუთხით სერვისი მიაწოდონ მსხვერპლებს და პრევენციის მიმართულებითაც შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ,“ **- ზუგდიდის ინსპექტორ-გამომძიებელი ი. ხვიჩია.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტში უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა 2022 წლის მაისში და, პასუხისმგებელი პირების ცნობით, დღემდე ჩატარდა ოთხი შეხვედრა. მათი ინფორმაციით, *„მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მუშაობის დროსაც იკვეთებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც საბჭოს უფლებამოსილებას სცილდებოდა და ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, მუნიციპალიტეტში ყოფილიყო მყარი მექანიზმი, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევების რეაგირებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. ამიტომ, როდესაც ფონდი „სოხუმი“ შემოვიდა ინიციატივით, მუნიციპალიტეტი*

დათანხმდა მსგავსი მექანიზმის დანერგვას,“ **- ს. ნატრიაშვილი, გენდერზე პასუხისმგებელი პირი (კომიისის თავმჯდომარის მოადგილე).**

აღნიშნული მექანიზმის დანერგვის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ფონდი „სოხუმის“ მიერ მუნიციპალიტეტში ორგანიზებული მრგვალი მაგიდები, რომელთა ფარგლებში ხდებოდა უწყებათაშორისი კომუნიკაციის და თანამშრომლობის სისტემის დანერგვა.

„ინიციატივას მოჰყვა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე მოხდა. ზუგდიდის კომისიის წევრების მხრიდან მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რატომ უნდა იყოს ამ კომისიის შექმნა მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო,“ **- მ. მშვენიერაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.**

ვანის მუნიციპალიტეტში უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა 2023 წლის ივნისში და ჩატარებულია ორი შეხვედრა. რესპონდენტებმა მიუთითეს, რომ ფონდი „სოხუმიდან“ შევიდა წერილი *აღნიშნული ინიციატივით, „ვიმსჯელეთ და გადაწყდა, რომ ეს რეკომენდაციაც გაგვეთვალისწინებინა, რადგანაც ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში არაერთი წარმატებული პრაქტიკა იქნა დანერგილი,“* **- მ. ღვინიაშვილი, ვანის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.** *„შემადგენლობაზე დიდხანს ვიმსჯელეთ, ვის შეეძლო პრობლემაზე რეაგირება, ვინ უნდა გვყოლოდა კომისიაში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ გამოგვრჩა მერის წარმომადგენელთა კოორდინატორი, რადგანაც მერის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ ქეისებზე. ამიტომ ვფიქრობ, ამ საკითხს დავსვამ სხდომაზე“.*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უწყებათაშორისი კომისია 2022 წლის ივნისში შეიქმნა. დღემდე ჩატარებულია ორი ოფიციალური სხდომა, თუმცა თემატური ჯგუფების შეკრება სისტემატურად ხდება და უწყებათაშორის კომუნიკაციასაც მეტი დატვირთვა მიეცა.

მოკვლევის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ **მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიები <u>პოზიტიურ გავლენას ახდენენ, ან შეუძლიათ სამომავლოდ მოახდინონ ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკაზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის საკითხებზე, დაზარალებულებისთვის სერვისების მოწოდებაზე, რადგანაც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები ერთიანდებიან და თანამშრომლობენ ერთი ქეისის გარშემო.</u> აღნიშნული გაუმარტივებს ბენეფიციარს, მიიღოს არსებული დახმარებები არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მაგ., პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან ან რომელიმე სხვა უწყების ფორმატში.** *„გარდა ჩვენი მუნიციპალური სამსახურებისა, იქ სხვა უწყების წარმომადგენლებიც არიან: ტრეფიკინგის სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამიტომ პოზიტი-*

ური გავლენა ნამდვილად აქვს და უკეთესი შედეგი დადგება, იმისგან განსხვავებით, როცა ჩვენ ვაწვდიდით ერთჯერადად სოციალურ დახმარებას მსხვერპლს. მის ირგვლივ უფრო მჭიდრო სოციალურად კეთილგანწყობილი გარემოა და მეტი რგოლია ჩართული იმაში, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ინფორმაცია მიიღოს, შესაბამის სტრუქტურაში გადამისამართდეს, გაძლიერდეს ემოციურად და მატერიალურად," **- ნ. კაპანაძე, ჩოხატაურის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი, უწყე,ბათაშორისი კომისიის წევრი.**

„განსხვავება ის არის, რომ როდესაც არსებობს კომისია, ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა, კომისიის წევრი თუ ხარ - მოგეთხოვება. როდესაც არ ხარ კომისიის წევრი, პიროვნების ნების დონეზეა, შედარებით სხვა დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, ეს კომისია აუცილებელია, ვინაიდან ყველას გათავისებული აქვს, რა უნდა აკეთოს, როგორ იმუშაოს. უწყებების რესურსების გამთლიანებაც ხდება, ინფორმაციის გაცვლა," **- მ. კუტუბიძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვიცემერი, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე.** კომისიის შემადგენლობაში არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ წვლილს შეიტანენ საერთო საქმეში. მათთან წინასწარ გაიმართა შეხვედრები და მოლაპარაკებები, რომლებიც პოზიტიურად დასრულდა: *„ყველა არის ჩვენს გუნდში,* კომისიის ხელმძღვანელი კმაყოფილია გენდერული საბჭოს მხრიდან თანამშრომლობის მზაობით, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული კონსტრუქციული კომუნიკაციით".

იგივე პოზიცია გამოხატა **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ**: *„ვფიქრობ, რომ მერიებში გენდერული მიმართულების რგოლი უნდა იყოს უფრო ძლიერი და მივესალმები, მაგალითად, ისე, როგორც ზუგდიდშია - გენდერის განყოფილების დანერგვას. ოზურგეთშიც არის და, მე რასაც ვაკვირდები, სადაც არის განყოფილებები, გაცილებით უფრო აქტიურია მუშაობა. ზოგადად, უწყებათაშორისი კომისიების მუშაობა რეალურად გააძლიერებს აღმასრულებელ რგოლს, ვიდრე ერთი თანამშრომელი, რომელიც ხშირად სხვა ფუნქციამოვალეობებით არის დატვირთული და შეთავსებული აქვს ეს საქმიანობა".*

როგორც მ. ბერაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - აღნიშნავს, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სამუშაო გეგმაში პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო. ხდება პასუხისმგებლობის გადანაწილება და არ მიემართება მხოლოდ ერთ ადამიანს - „ჩვენს შემთხვევაში ვუწერთ ყველას „მუნიციპალიტეტის მერია და გენდერული თანასწორების საბჭო". საბჭოს ყველა აქტივობაში ჩართულია გენდერზე პასუხისმგებელი პირი. რესპონდენტი პოზიტიურ მოლოდინებს აფიქსირებს უწყებათაშორისი კომისიის ფუნქციონირებასთან მიმართებაში. *„ვფიქრობ, რომ არანაირი პრობლემა არ იქნება. გენდერულ საბჭოებსაც გაუჭირდათ თავიდან ამუშავება და ბუნდოვანი იყო, თუ რა უნდა გვეკეთებინა, მაგრამ ვიხვეწებით ყოველწლიურად და კომისიების შემთხვევაშიც ზუსტად ასე იქნება".*

- **უწყებათაშორისი კომისიების მუშაობის პროცესი**

რესპონდენტთა აზრით, უწყებათაშორისი კომისია მეტწილად ფოკუსირებული უნდა იყოს:

- ❖ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების საკითხებზე;
- ❖ გენდერული სტატისტიკის წარმოებაზე;
- ❖ პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვაზე;
- ❖ ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმებზე. **(კ. სალია, წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე)**

სწრაფმა მოკვლევამ აჩვენა, რომ უწყებათაშორისმა კომისიებმა სწრაფად აუღეს ალღო განსახილველი საკითხების იდენტიფიცირებას, მაგ., <u>სენაკის</u> კომისიის წევრების განცხადებით, თავიდანვე აქტიურად დაიწყო მუშაობა, პირველივე შეხვედრაზე დაიგეგმა და ჩატარდა მასშტაბური საინფორმაციო კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე „16 აქტიური დღის“ ფარგლებში. კომისიის ინიციატივით, ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი სკოლის პედაგოგებისთვის. ტრენინგის შედეგად ათობით ღონისძიება განხორციელდა, სადაც სენაკის 24-ვე სკოლა და 5200-მდე ადამიანი იყო ჩართული.

„არსებული კომისიის ფორმატით რამდენიმე ქეისზე რეაგირება შევძელით. კომისიის წყალობით ვიცოდი, კონკრეტულად რომელ უწყებას რა ევალება, ვის რა დახმარების აღმოჩენა შეეძლო და უკვე პირდაპირ კომისიის წევრებს მივმართავდი დახმარებისთვის. კომისია სხდომიდან სხდომამდე აგრძელებს ინტენსიურ დარგობრივ კომუნიკაციებს“ **- დ. ზარანდია, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.**

<u>ზუგდიდის</u> უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე განიხილება თემები, რომელთაც ჩათვლის კომისია საჭიროდ. მაგ.: კონკრეტულ ქეისებზე მუშაობა და დისკუსიების გამართვა როგორც ბენეფიციარების, ასევე ახალი პროგრამების და სერვისების საჭიროებების განსახილველად და არსებული სერვისების გასაანალიზებლად. *„ყველა უწყებას აქვს საშუალება, ისაუბროს თავის ხედვაზე და პრაქტიკულ დამოკიდებულებაზე კონკრეტული პროგრამების ირგვლივ, პროგრამის პლუსებსა და მინუსებზე და რა შეიძლება გაკეთდეს უკეთესად,“* ***- ი. ხვიჩია, შსს ინსპექტორ-გამომძიებელი, ზუგდიდი.***

<u>ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ხშირად გამოცდილებას სხვა მუნიციპალიტეტებს უზიარებს.</u> *„ჩვენი კომისიის წევრების მიერ მუდმივად ხდება ინფორმაციის მიწოდება კომისიის მუშაობის შესახებ ყველა შეხვედრაზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ცდილობს მისი ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას მუნიციპალიტეტის გარეთ,“* **- თ. ჩიქავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უწყებათაშორისი კომისიის წევრი.**

- **პოზიცია უწყებათაშორისი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ**

სწრაფი მოკვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან, <u>კომისიები არ არის შექმნილი წალენჯიხის, სამტრედიის, ქობულეთის, ხობის მუნიციპალიტეტებში,</u> სადაც რესპონდენტების უმეტესობა მიუთითებს უწყებრივი კომუნიკაციების ხარვეზებზე. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული პოლიტიკური კონტექსტი ართულებს სხვა უწყებებთან კომუნიკაციას. საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაციით, <u>მცდელობების მიუხედავად, **ვერ შედგა კომუნიკაცია**</u> გენდერული თანასწორობის საბჭოსა და შსს-ს ადგილობრივ წარმომადგენლობასთან, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

ე. ბერაია, წალენჯიხის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი, მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია, რადგან უწყებები პერიოდულად ცვლიან ინფორმაციას, მუშავდება რეკომენდაციები ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მნიშვნელოვანია ყველა იმ რგოლის არსებობა, რომელთა ფუნქცია-მოვალეობაა ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

<u>**სამტრედიის**</u> მუნიციპალიტეტში <u>უწყებებს შორის კომუნიკაციის დეფიციტზე გულისტკივილს გამოთქვამენ</u> სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკები და მიუთითებენ <u>**კომუნიკაციის ნაკლებობის შესახებ, პროგრამების დანერგვის პროცესში ან საჭიროებების შესწავლისას.**</u> მაგ., ქალთა ფონდი „სოხუმის“ მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრების და ასევე სხვადასხვა შეხვედრის დროს გამოვლინდა, რომ **რეფერირების ადგილობრივმა სუბიექტებმა არ იცოდნენ ადგილობრივი სტატისტიკა, საჭიროებები.** შსს-ს და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები ღიად აფიქსირებდნენ, რომ არ ფლობდნენ ინფორმაციას ბიუჯეტში არსებული პროგრამების შესახებ.

მოკვლევის დროს გამოიკვეთა რეფერირირების ცალკეულ სუბიექტებს შორის ნაყოფიერი და აქტიური თანამშრომლობის ფაქტები, ზოგიერთ უწყებებთან კი - გაღრმავების და გაინტენსიურების საჭიროება: „კარგად არის აწყობილი პოლიციასა და სოციალურ მუშაკებს შორის კომუნიკაცია, თუმცა აუცილებელია სოციალურ სამსახურსა და მერიის სტრუქტურებს შორის უფრო ხშირი კავშირი და თანამშრომლობა. *მაგალითად, სასურველია წლის ბოლოს, მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, სოციალური მუშაკების მოწვევა, რომ დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებების შესახებ. არის შემთხვევები, როცა არ გვაქვს ინ-*

ფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალური პროგრამის შესახებ. რადგან უშუალო შეხება გვაქვს მოწყვლად ოჯახებთან და ძალადობის შემთხვევებთან, აუცილებელია ჩვენი ჩართულობა და ინფორმირება".

*„თუ გვექნება მაგალითები, რომ კომისიამ დადო შედეგი და გაამართლა საკუთარი არსებობა, დანერგა წარმატებული სისტემა კოორდინაციისთვის, მაშინ მივესალმები მის შექმნას. ვფიქრობ, ჩვენი მუნიციპალიტეტი უნდა ამოვიდეს წარმატებული მაგალითებიდან... აუცილებელია ჩართული იყოს შსს, ტრეფიკინგის სააგენტოს სოციალური მუშაკი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი, ბავშვთა განყოფილება, სოციალური სამსახური და ა.შ. მნიშვნელოვანია მერის წარმომადგენელთა კოორდინატორი, შემთხვევების გამოვლენის და პრევენციის თვალსაზრისით," - **ნ. დოლაყიძე, გენდერზე პასუხისმგებელი პირი თერჯოლის მერიაში.***

საინტერესოა და ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრება კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, სადაც ლოგიკურად არის აღწერილი და დაკავშირებული სამუშაო პროცესის თითოეული საფეხური: *„კომისიის არსებობის შედეგად სულ მცირე, ინფორმაციის გაცვლა მაინც იქნება უზრუნველყოფილი. როდესაც გადაწყდება კონკრეტული უწყებების პასუხისმგებლობის საკითხი, მუნიციპალიტეტში შეიქმნება სტატისტიკის მწარმოებელი ჯგუფი, რომელიც დაეყრდნობა უწყებათაშორის კომისიაში გაერთიანებული ყველა უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების არსებობა ნიშნავს გამოვლენილ ფაქტებს, რომლებზე რეაგირება ევალება შესაბამის უწყებებს. უწყებათაშორისი კომისია კი აღნიშნულ პროცესს გაუწევს კოორდინაციას... თუ აღნიშნულმა მექანიზმმა იმუშავა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეიცვლება პრევენციის და რეაგირების მაჩვენებელი - გაუმჯობესდება ფაქტების გამოვლენა, რასაც მოჰყვება დროული რეაგირება,"* **- ნ. დოლაყიძე, გენდერზე პასუხისმგებელი პირი, თერჯოლის მერია.**

ამას გარდა, **კ. სალია (<u>წალენჯიხის</u> საკრებულოს თავმჯდომარე)** მიიჩნევს, რომ კომისიების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია **არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა,** შსს-ს, ადგილობრივი ხელისუფლების, რესურსცენტრის და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ხელმძღვანელი პირებისთვის ტრენინგების ჩატარება და სხვა მუნიციპალიტეტების კარგი პრაქტიკის გაზიარება.

კომისიის მნიშვნელობას დადებითად აფასებს **<u>ქობულეთის</u>** გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ლ. შაქარიშვილი: *„იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან და, შესაბამისად, მეტი ვალდებულებები და პასუხისმგებლო-*

ბები აკისრია... რა თქმა უნდა, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა გაამარტივებდა მუშაობას".

კომისიის შექმნას პოზიტიურად აფასებენ **<u>თერჯოლის</u>** მუნიციპალიტეტის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლები - ვინაიდან ჩართული იქნება ყველა უწყება, რომელიც მონაწილეობს ძალადობის შემთხვევების გამოვლენაში, პრევენციასა და სერვისების მიწოდებაში, რაც ეფექტიანად აისახება არა მხოლოდ ბენეფიციარისთვის სერვისების მიწოდებაზე, არამედ თავად სერვისის მიმწოდებლებს გაუმარტივებს მოვალეობების შესრულებას: *„ასეთი ჯგუფის არსებობა კონკრეტული ქეისების განხილვის დროს, დიდი ფუფუნებაა... როდესაც ერთად იქნებიან შსს-ს, ტრეფიკინგის სააგენტოს წარმომადგენლები, რესურსცენტრი, ჩვენ [ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება], აუცილებლად წაადგება ბენეფიციარს... მეტად ეფექტური გახდება სერვისების მიწოდება, რაც ძალზე რთულია ამჟამად, როდესაც თავიდან იცილებს რომელიმე უწყება ჩართვას და ცდილობს, მეორეს გადააბაროს,"* **- ნ. ხუჯაძე, თერჯოლის მერიის ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკი.**

მიუხედავად რესპონდენტთა უმრავლესობის პოზიტიური დამოკიდებულებისა, გამოვლინდა საწინააღმდეგო მოსაზრებებიც (მუნიციპალიტეტებში, სადაც არ ფუნქციონირებს უწყებათაშორისი კომისია).

რიგი რესპონდენტების მოსაზრებით, **მუნიციპალიტეტში უწყებათაშორისი კომისიის შექმნის საჭიროება <u>არ არსებობს,</u> რადგან ის ფუნქციები და უფლებამოსილებები, რაც უწყებათაშორისმა კომისიამ უნდა განახორციელოს, ინტეგრირებულია სოციალურ საკითხთა კომისიაში, გენდერული საბჭოს საქმიანობაში:**

<u>ხობის</u> მუნიციპალიტეტის **ვიცემერის, დ. ბერაიას აზრით,** ***უწყებათაშორისი კომისია თუ მის შემადგენლობაში აღმასრულებელ რგოლთან ერთად სოციალურ აქტორებს მოიაზრებს - სოციალური მუშაკი, საგანმანათლებლო სექტორი, პოლიცია, არასამთავრობო სექტორი - იგივე შემადგენლობა სრულად ასახულია გენდერული თანასწორობის საბჭოში. ყველა სტრუქტურა, ვისაც ეხება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე რეაგირება, მუდმივ კომუნიკაციაშია მერიასთან. „ან გენდერული საბჭოს შემადგენლობის საკითხი უნდა გადაიხედოს, რადგან ერთი და იგივე ადამიანები არ იყვნენ წარმოდგენილი ორივე რგოლში. ისედაც, გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, არ არის გათვალისწინებული აღმასრულებელი რგოლის და რეფერირების სუბიექტების ამ დოზით წარმოდგენა".***

კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს **ხ. მამასახლისი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი:** ***„თუ უნდა იყოს „კომისია კომისიისათვის", მაშინ აზრი არ აქვს".*** მისი თქმით, მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ყველა რელევანტურ უწყებასთან და უშუალოდ (უწყებათაშორისი კომისიის

გარეშეც) უკავშირდებიან მათ პირველივე ოფიციალური თუ ანონიმური შეტყობინების მიღებისას.

ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, როდესაც არსებობს რომელიმე ქეისის შესაბამის უწყებაში რეფერირების, შემდგომ აღნიშნული უწყებიდან უკან არაერთხელ დაბრუნების და ერთი უწყებიდან მეორეში უსასრულოდ გადამისამართების ფაქტები, მსგავსი გარემოება **<u>გამორიცხავს უწყებათაშორისი კომისიის შექმნის პერსპექტივას.</u>**

ძალზე მნიშვნელოვანია ყველა უწყების ერთდროული ჩართვა, სწორი კომუნიკაცია და დახმარების გზების დაგეგმვა.

„თვეში ერთხელ მაინც, ოფიციალური შეხვედრები უნდა ჩაინიშნოს, სადაც კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა იქნება შესაძლებელი, მაგ., საბიუჯეტო ციკლის შესახებ (ის ხომ უწყვეტი ციკლია), რომ შემდგომში ეს ყველაფერი აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კონკრეტული პროგრამების სახით, რაც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვას და ადამიანის უფლებების დაცვას ყველა მიმართულებით,“ ***- ლ. შაქარიშვილი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.***

- ## გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის ურთიერთქმედების საკითხი

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები აღიარებენ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის დუბლირების რისკს, მაინც მიაჩნიათ, რომ **მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით და კოორდინაციით შეიძლება აღნიშნული საფრთხის განეიტრალება**.

ზუგდიდის კომისიის წევრები აცხადებენ, რომ გენდერული საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა გამიჯნულია და არ ხდება საქმიანობის დუბლირება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წევრი პარალელურად არის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც. მათი აზრით, აღნიშნული ფაქტი არათუ **არ უშლის ხელს კომისიის მუშაობას, პირიქით - ეხმარება მათ.**

„მეც ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და ამავდროულად - კომისიის წევრიც. რეალურად ორივე პლატფორმა მსგავსი დანიშნულებისაა ჩემთვის... იგივენაირად ჩავერთვები, როგორც კომისიაში, ასევე საბჭოში. შეხვედრები და ინფორმაციის მიღება იმიტომ არის საჭირო პროფესიონალების მხრიდან, რომ დაგვანახოს განსხვავება და გვიჩვენოს, როგორ უნდა ვიყოთ ერთმანეთის „შემავსებლები“. დუბლირება რომ არ გამოვიდეს, გარკვეული საკითხების გამიჯვნა მართლაც არ იქნე-

ბოდა ურიგო,“ - **ნ. კაპანაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი.**

გენდერული საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის დუბლირების **საფრთხეზე[36] საუბრობენ და ასახელებენ გამოსავლის გზებს - ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მ. ბერაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვიცემერი, კომისიის თავმჯდომარე მ. კუტუბიძე და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლ. ქავთარაძე:**

1. საკითხები, რომლებიც გენდერული საბჭოს უფლებამოსილებას და რესურსებს სცილდება, სასურველია საკუთარ თავზე აიღოს უწყებათაშორისმა კომისიამ. ასევე პირიქით, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები და მაგ., საკითხის ინიცირება საკრებულოში უნდა განხორციელდეს, უწყებათაშორისმა კომისიამ უნდა მიმართოს გენდერულ საბჭოს და მათი საშუალებით წამოჭრას აღნიშნული საკითხი;
2. მნიშვნელოვანია კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ასევე, გენდერული საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლების პიროვნულ დონეზე ინტენსიური კომუნიკაცია: *„ადამიანებზეა უფრო მეტად დამოკიდებული ამ რგოლების ეფექტიანობა... ეს არ არის შეჯიბრებითობის პრინციპი... ერთია აღმასრულებელი რგოლი და სხვადასხვა გარე სტრუქტურა ჰყავს გაერთიანებული - საბჭო მხოლოდ საკრებულოს სტრუქტურაა.“*
3. დახმარების მიღება იმ სტრუქტურებიდან (მუნიციპალიტეტებიდან), ვისაც მეტი გამოცდილება აქვს;
4. გამოითქვა მოსაზრება, რომ გენდერული საბჭოს და უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ ერთი და იგივე ადამიანები;
5. თუმცა, გამოითქვა ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო აზრი: გენდერულ საბჭოსა და უწყებათაშორის კომისიას თუ ეყოლება ერთი და იგივე წევრ(ებ)ი, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს ინფორმაციების გაცვლას ორ სტრუქტურულ ერთეულს შორის, - აღნიშნავს **მ. ღვინიანიძე, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.**
6. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპზე აუცილებლად უნდა ჩაერთოს უწყებათაშორისი კომისია, იმის გასარკვევად, სჭირდებათ თუ არა რესურსები რაიმე სახის ღონისძიებისთვის, მაგ., საინფორმაციო შეხვედრებისთვის;

36 დუბლირების და ერთსა და იმავე საქმეში ორი მექანიზმის რესურსის დახარჯვის თავიდან აცილება და პირიქით, ორ უწყებას შორის გადანაწილება

7. *„გენდერული თანასწორობის საბჭო ზოგადად მუშაობს ძალადობის და გენდერულ საკითხებზე, ხოლო უწყებათაშორისი კომისია უნდა იყოს კონკრეტული, რომელიც შესაძლოა შეიკრიბოს ერთი სასწრაფო ქეისის გადასაჭრელად... გენდერულ საბჭოს აქვს საკუთარი გეგმა, მიზნები და ამოცანები, დუბლირება ვერ მოხდება. პირიქით: კომისია არის ძალზე კარგი ბაზა იმისთვის, რომ გენდერულმა საბჭომ თავისი მუშაობა განახორციელოს, შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები, რა სიტუაციაა მაგ., ბაღდათის მუნიციპალტეტში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით - სკოლებში, ბაღებში... საბჭოსთვის ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს ბაზა და დასაყრდენი მისი სამომედო გეგმის გაწერისთვის,“* - **მ. მშვენიერაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.**

• უწყებათაშორისი კომისიის გაძლიერების მნიშვნელობა

სწრაფი მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა კომისიის წევრების კომპეტენციის, კვალიფიკაციის გაზრდის მნიშვნელობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით არსებული მექანიზმების, პროგრამების, სერვისების შესახებ. ქვემოთ მოცემულია რესპონდენტების მიერ დაფიქსირებული კვალიფიკაციის ამაღლების გზები:

„ზუგდიდში რომ კარგად მუშაობს [კომისია], მაქვს ინფორმაცია და მომწონს ეს მოდელი. მაგრამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება და კომპეტენცია ძალზე მნიშვნელოვანია, მხოლოდ კომისიის შექმნა არ შეცვლის არაფერს. და ისიც ძალზე ოპტიმალურად უნდა იყოს დაკომპლექტებული, ასევე მნიშვნელოვანია კომპეტენციის ამაღლებაში ვინ დაეხმარება,“ - **ხ. მამასახლისი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი.**

❖ **შეხვედრების ორგანიზება** - რესპონდენტები ერთხმად მიუთითებდნენ ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული შეხვედრების შესახებ, სადაც ხდებოდა გამოცდილების გაზიარება; ასევე მიუთითებდნენ მრგვალი მაგიდების საჯარო დისკუსიების ფორმატის, თემატური ვორკშოპების ჩატარების შესახებ, სადაც ინფორმაციის და გამოცდილების ინტენსიური გაცვლა ხდება რეფერირების სუბიექტებს შორის: *„ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამსახურებრივად გვიწევს ისეთ ფაქტებთან შეჯახება, როდესაც ბენეფიციარს არ აინტერესებს შენი ინფორმირებულობის დონე... მისთვის ყველაფრის ახსნა უნდა შეგეძლოს, საჭირო ინფორმაციის გასაცემად პასუხი უნდა გქონდეს - ესაა მათი დამოკიდებულება. სწორი ინფორმაციის ფლობა და ბენეფიციარების სწორად გადამისამართება რელევანტურ ინსტანციაში ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვა-*

ნია. ზუსტად ამიტომ არის ღირებული შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია,“ - **მ. მშვენიერაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი[37];**

- **ტრენინგების ჩატარება კომისიის წევრებისა და რელევანტური უწყებების ხელმძღვანელებისთვის/წარმომადგენლებისთვის** (მაგ.: შსს, ადგილობრივი რესურსცენტრი, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) - *„კარგი იქნება ტრენინგები იმ მიმართულებით, რომ დოკუმენტები მეტად კონკრეტულ ჭრილში გაიწეროს, მაგ., კომისიის წევრების უფლება-მოვალეობის, კომისიის სამუშაოს შესახებ, კონკრეტულ ქეისებზე მუშაობის/მართვის შესახებ. ასევე, კარგი იქნება პრაქტიკის გაცვლის კუთხით შეხვედრების დანერგვა. არსებული კომისიების ქსელური შეხვედრები, რაც გაზრდის სტიმულს, რომ მეტად აქტიურები ვიყოთ,“* - **ს. ნატრიაშვილი, გენდერზე პასუხისმგებელი პირი ბაღდათის მერიაში, კომიისის თავმჯდომარის მოადგილე; ნ. ხუჯაძე, თერჯოლის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკი; კ. სალია, წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე.** *„ვფიქრობ, თუ მსგავსი კომისია შეიქმნება სამტრედიაში, პირველ რიგში ტრენინგები უნდა ჩატარდეს მისი წარმომადგენლებისთვის. შემდეგი ნაბიჯი კი იქნება სხვა წარმატებული კომისიების გამოცდილების გაზიარება,“* - **თ. მორჩაძე, ტრეფიკინგის სააგენტოს სოციალური მუშაკი, სამტრედია;**

- **ქსელური შეხვედრების გამართვა** - *„კარგი იქნება პრაქტიკის გაცვლის კუთხით შეხვედრების დანერგვა. არსებული კომისიების ქსელური შეხვედრები, რაც გაზრდის სტიმულს, რომ მეტად აქტიურები ვიყოთ,“* - **ს. ნატრიაშვილი, გენდერზე პასუხისმგებელი პირი ბაღდათის მერიაში, კომიისის თავმჯდომარის მოადგილე;** *„ფონდმა „სოხუმმა“ ქსელური შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტებში, სადაც უწყებათაშორისი კომისიები ფუნქციონირებს, შეხვედრა შედგა იმ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მსჯელობა უწყებათაშორისი კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ... ზუგდიდის და სენაკის წარმომადგენლებმა დაწვრილებით ისაუბრეს საკუთარ საქმიანობაზე... ქსელურ შეხვედრებს და გამოცდილების გაცვლას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა შეხვედრები არ უნდა იყოს ფრაგმენტული, არამედ უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს გამოცდილების გაზიარება, ამაში არასამთავრობოებს აქვთ დიდი როლი,“* - **მ. ბერაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;**

---

37 ბაღდათის უწყებათაშორისი კომისიის მიერ მოხდა ერთი საკმაოდ დელიკატური ქეისის განხილვა, რომელიც შედარებით უმტკივნეულოდ გადაწყდა დაზარალებულისთვის. კომისიის წევრთა მოსაზრებით, ამაში სწორედ ინტერსექტორალური კომუნიკაციები დაეხმარათ.

❖ **არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაძლიერება -** რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კომისიების გაძლიერების საკითხში: *„მე მიმაჩნია, რომ კომისიები ჯერ ახალი შექმნილია და სამი წლის შემდეგ შესაძლოა სულ სხვაგვარად ვისაუბროთ მათ მუშაობაზე,“* - **მ. ბერაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე:** *„კომპეტენციების ამაღლების საკითხში არასამთავრობო ორგანიზაციებს ძალზე მნიშვნელოვანი როლი აქვთ. ამასთანავე, უწყებათაშორის კომისიაში ერთი არასამთავრობოს წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იყოს,“*- **თ. სიჭინავა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.**

- ## კომისიის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობა

რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია მერიის უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაცია. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მოსაზრება/არგუმენტი ინსტიტუციონალიზაციის სასარგებლოდ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება **საკანონმდებლო დონეზე დანერგვის „სავალდებულო ხასიათზე“,** რომლის გარეშე, კვლევაში ჩართული პირების აზრით, **კომისიის შექმნის ნებისმიერი მცდელობა ნაკლებად ეფექტიანია:**

„კანონის დონეზე არსებობა ყველა წევრს დააკისრებს ვალდებულებას კომისის წინაშე. როცა რაღაც გევალება, გიწევს კეთება და მუშაობის პროცესში საკითხში უკეთ გარკვევა. საკანონმდებლო დონეზე დანერგვა ბევრად შეუწყობს ხელს კომისიების ეფექტიანობას,“ - **მ. მშვენიერაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;**

„გენდერული საბჭო სარეკომენდაციო ხასიათისაა, ხოლო ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში, სხვა ვალდებულება ექნებათ. კონკრეტული ადამიანების ბედი წყდება და ამას ზედაპირულად ვერ მიუდგებიან,“ - **თ. სიჭინავა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.**

„რა თქმა უნდა, ერთია წარმატებული პრაქტიკა, რომელიც ქვეყანაში გვაქვს. თუმცა თუ ჩვენი მიზანია, დავაჩქაროთ პროცესები, მივიღოთ შედეგი მოკლევადიან პერიოდში და ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით მეტ პროგრესს მივაღწიოთ, უმჯობესია მოვახდინოთ ამ ინსტიტუციის საკანონმდებლო დონეზე აღიარება,“ - **ლ. შაქარიშვილი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.**

თ. მორჩაძე (ტრეფიკინგის სააგენტოს სოციალური მუშაკი, სამტრედია) მიიჩნევს, რომ კომისიის შექმნა მნიშვნელოვანია და მუნიციპალიტეტს აქვს კომუნიკაციის გაუმჯობესების შესაბამისი რესურსი. თუ კომისია ან საბჭო ინსტიტუციონალიზებულია, გაცილებით მარტივდება მისი შექმნა, მუშაობის ეფექტიანობის დასაბუთება და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია.

რესპონდენტებმა გამოკვეთეს კომისიების ინსტიტუციონალიზაციის, ადვოკატირების საკითხში კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობების როლი და მნიშვნელობა:

„ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია კომისიის საკითხის ადვოკატირება. ვისურვებდი, რომ ეს საკითხი ფონდმა „სოხუმმა“ გააგრძელოს. შედეგად, მთლიანად ქვეყანაში შეიცვლება სურათი და ქვეყანა იმ ვალდებულებებსაც უპასუხებს, რაც ისედაც აღებული აქვს როგორც საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. უწყებათაშორისი კომისია საუკეთესო მექანიზმი იქნება ამისთვის,“ **- ლ. შაქარიშვილი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.** *„ძალზე მნიშვნელოვანია ამ საკითხის ადვოკატირება და ადგილობრივი კვალიფიციური ორგანიზაციების ჩართვა - თუნდაც ჩვენი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების... როგორც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელი, მეც ვიქნებოდი ერთ-ერთი მხარე, თუ იქნებოდა ამის საჭიროება. ეს იქნებოდა პრაქტიკული დასაბუთება იმისა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სწორედ იმ ადამიანებისგან, ვის მხრებზეც გადადის ამ საკითხებზე რეაგირების ტვირთი. პარლამენტის დონეზე, საკომისიო განხილვების დონეზე, სიამოვნებით ვიქნებოდი ერთ-ერთი სპიკერი, თუ, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არის...“*

დასკვნა

კვლევის მონაცემების ანალიზმა აჩვენა უწყებათაშორისი კომისიების პრაქტიკული მნიშვნელობა რეფერირების, კომუნიკაციის და კოორდინირებული მუშაობის თვალსაზრისით. თუმცა, პოზიტიური ცვლილებების განხორციელებისთვის საჭიროა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მეტად „ფორმალიზება" და კომუნიკაციის ინტერპერსონალური დონიდან ქმედითად გადასვლა სტრუქტურათა და უწყებათაშორის კოორდინაციაზე. ძალზე მნიშვნელოვანია კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარება, გამოყენება და დანერგვა (როგორც ადგილობრივი, ასევე, თუ შესაძლებელია - საერთაშორისო); ცნობიერების ამაღლება (როგორც მოსახლეობის, ასევე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების) და გრძელვადიან პერსპექტივაში კომისიის მნიშვნელობის გააზრება; უფლებამოსილებების სწორად გამიჯვნა (გენდერული თანასწორობის საბჭოსთან); კომისიის საქმიანობაში ჩართვის წახალისება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის; ადგილობრივი ხელისუფლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ა.შ.

რეკომენდაციები

პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოს:

- მნიშვნელოვანია პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს ძალისხმევის გაზრდა და საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის ადვოკატირება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციასთვის;
- აუცილებელია საბჭოს მხრიდან გაწეულ იქნას სათანადო კოორდინაცია მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიების გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფო უწყებების და სამოქალაქო აქტორების მოზიდვისა და წახალისებისთვის.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- მნიშვნელოვანია, კომისიამ ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის პროცესს; უკვე არსებული კომისიების გაძლიერებას, რათა ის გახდეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ძალადობის პრევენციის, ძალადობის რისკჯგუფის ოჯახების გაძლიერების ქმედითი მექანიზმი;

- მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს მთავრობასთან არსებულ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასა და მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, ინფორმაციის სისტემატური გაცვლა, მეთოდოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მნიშვნელოვანია, წახალისებული იქნას სახელმწიფო სოციალური მუშაკების, ჯანდაცვის პირველადი რგოლების წარმომადგენლების ჩართვა კომისიის საქმიანობაში, რაც ეფექტიანი იქნება ბენეფიციარების პრიორიტეტული სოციალური საჭიროებების გადაჭრის საკითხებში უწყებათაშორისი კომუნიკაციის გასაძლიერებლად.

მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს:

- აუცილებელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების ადგილობრივი რეფერების პროცესებში საგანმანათლებლო სექტორის სრულფასოვანი მონაწილეობისთვის მუნიციპალურ კომისიაში წარმოდგენილი იყვნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები.

ადგილობრივ ხელისუფლებას:

- მნიშვნელოვანია ღონისძიებების დაგეგმვა კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მერიაში უწყებათაშორისი კომისიების მნიშვნელობის ძირეულ გააზრებას;
- აუცილებელია სოციალურ პარტნიორთა ქსელის შექმნა და გამოცდილების გაზიარების ინტერმუნიციპალური პლატფორმების გააქტიურება;
- აუცილებელია კომისიის სამოქმედო გეგმების დროული შემუშავება და პერიოდული ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა;
- მნიშვნელოვანია კომისიის საქმიანობას პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების (ციფრული პლატფორმები, საჯარო შეხვედრები) გამოყენება ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებებისთვის.

ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს:

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების პოტენციალის გაძლიერება, კვალიფიკაციის ამაღლების, ტრენინგების, ინფორმაციის გაცვლის პლატფორმების ორგანიზება კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის;
- მნიშვნელოვანია კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მერიებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის ადვოკატირება.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №14, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ, 22.01.24, მუხ.: 1 (1) - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?publication=0;

2. ევროპის საბჭოს GREVIO-ს ანგარიში საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის შესრულებაზე (22.11.22), გვ. 17, ინგლისურ ენაზე - https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa;

3. ფონდი „სოხუმის" კვლევა: „ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ეფექტიანობის შეფასება და არსებული გამოწვევები" - https://fsokhumi.ge/images/2022/2/bavshta%20ganyofilebebi.pdf;

4. ქალთა ფონდი „სოხუმის" კვლევა: „მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება" - https://fsokhumi.ge/images/2023/7/1/Prevention%20-%20municipalities%20July%202023.pdf;

5. საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.: 11.1; 11.3 - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36;

6. კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო; გვ. 40 - Https://Rm.Coe.Int/Geo-Istanbul-Convention-And-Explanatory-Report-A4/16808d24c5;

7. ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია), მუხ.: 10(1) - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0;

8. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ.: 16.4 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=69;

9. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ", მუხ. 13(1^1) - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10;

10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილება „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 1 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=4 ;

11. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 1(1) - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?fbclid=IwAR3c98OHBioZhA7wZHMyMjdIU38if3DsmLLbymVJPJ0Pbq2ctE-2ae3YcMc&publication=0;

12. The Family Assistance unit as an Expert Team on Providing Assistance to The Victims of Domestic Violence - https://www.eucpn.org/document/the-family-assistance-unit-as-an-expert-team-on-providing-assistance-to-the-victims-of;

13. European Crime Prevention Award (ECPA); გვ.2 - https://eucpn.org/sites/default/files/document/files/GP–ECPA–2013–ES–TheFamilyAssistanceUnit-1.pdf;

14. General Depatment of the Criminal Police Family Assitance Central Unit - https://eucpn.org/sites/default/files/document/files/GP–ECPA–2013–ES–TheFamilyAssistanceUnit-2.pdf;

15. Co-ordinated Community Response (CCR) to High Risk/High Danger Domestic/Intimate Partner Violence;

16. Coordinated Community Response Components for Victims of Intimate Partner Violence: A Review of the Literature - https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4113829/;

17. Family Violence Coordinating Council - https://www.dupagecourts.gov/18th–judicial–circuit–court/services/family–violence–coordinating–council.php;

18. About the County Domestic Violence Coordination Office - https://multco.preservica.com/Render/render/waybackproxy/20130913231708/http:/multco.us/dv/about-county-domestic-violence-coordination-office;

19. About The IFVCC - https://icjia.illinois.gov/ifvcc/about/;

20. Family Violence Coordinating Council (FVCC) - https://www.roe26.net/fvcchttps://www.publicsafety.gc.ca/cnt/cntrng-crm/crm-prvntn/nvntr/dtls-en.aspx?i=10195;

21. Multy-Agency Safeguarding Hubs - გვ. 1-3; Multy-Agency Safeguarding Hubs. A London Council Member briefing. October 2012;

22. Multy-Agency Safeguarding Hubs (MASH) - https://www.nottinghamshire.gov.uk/care/childrens-social-care/nottinghamshire-children-and-families-alliance/pathway-to-provision/multi-agency-safeguarding-hub-mash.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

მონაცემების შეგროვებასა და მოკვლევის ანგარიშზე მუშაობდნენ
ქალთა ფონდი „სოხუმის“ ქუთაისის სათავო ოფისის წარმომადგენლები:

ემა კამკია

გურანდა გვანცელაძე

თეა გოლეთიანი

ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ნინო კორინთელი

ლიდა ჩიხლაძე

ეკატერინე გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;

fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi